პროფესიონალი

№91

PROFESIONALI

ბათუმი. პუშკინის 37

E-mail: giorgii2004@gmail.com

www.newdesign.ge





პროფესიონალი+



www.prof-news.com

მთავარredaქტორი:
ეთნო ფუცალიშვილი

სარედაქციო კოლეგია

ბუღალტერია:
ოფისის ადმინისტრატორი ნინო ფანცულაია
ტელ.: 599 94 94 94

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით, ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

E-mail:profesionali@mail.ru

30.07.20. - 30.08.20

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის ნარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

საპარლამენტო სიახლეები

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი განიხილა პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე, რომელიც მოგვიანებით გამართული კენჭისყრისას 79 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო.

კანონპროექტით, რომელსაც პარლამენტი გამარტივებული წესით იხილავს, ქვეყნის მთავრობას პანდემიასთან დაკავშირებული დროებითი შემზღუდავი ღონისძიებების გატარების ვადა 15 ივლისიდან წლის ბოლომდე, ანუ 1 იანვრამდე უხანგრძლივდება.

მომხსენებელმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია, 2020 წლის 15 ივლისის შემდეგაც შენარჩუნდეს ის არსებული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად მყისიერი და ეფექტიანი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას და პროცესების სწორად წარმართვას უზრუნველყოფს. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტი პანდემიით გამოწვეული, ქვეყანაში არსებული მწვავე პრობლემის დაძლევის აუცილებელი საშუალებაა.

„იმ ფონზე, როცა მთელ მსოფლიოს და მათ შორის, საქართველოსაც, მიუხედავად გამორჩეული პოზიტიური შედეგისა, ისევ გვიწევს პანდემიის რეჟიმში ცხოვრება. ასევე მოსალოდნელია და ამას დარგის სპეციალისტები ამბობენ, რომ მეორე ტალღა შეიძლება იყოს უფრო მძლავრი და მეტი ზიანის მომტანი. ასევე, ვუახლოვდებით საარჩევნო პროცესს, რაც შეიძლება კიდევ უფრო მაღალ ხარისხში ეპიდემიის გავრცელების ბიძგი გახდეს. ამიტომ, ყველა ამ მიზეზის გამო და უმთავრესი უფლების დასაცავად, რომ მთავრობას მივცეთ ბერკეტი დაიცვას მოქალაქეების ეპიდუსაფრთხოება, გთავაზობთ გადავწიოთ ვადა წლის ბოლომდე,“ - განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ საკითხის წარდგენისას.

მან ყურადღება გაამახვილა, რომ რომ 22 მარტიდან 22 მაისამდე საქართველოში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, რისი ამოწურვის შემდეგ არ იყო საგანგებო მდგომარეობის საჭიროება, მაგრამ არ შეიძლებოდა ცარიელი სივრცის დატოვება, რომ მთავრობას არ ჰქონოდა მართვის მექანიზმები.

„ის, რომ პოზიტიური შედეგია მიღწეული, არის სწორედ იმ რეგულაციების შედეგი, ექიმების სწორი მოქმედების და ხელისუფლების სწორი დაგეგმარების შედეგი, რის გამოც გვაქვს ბევრი ქვეყნისგან პოზიტიურად განსხვავებული შედეგი. ამიტომ სავალდებულოა, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობა და ქვეყნის ინტერესები და ეს ვადა განვსაზღვროთ ახალ წლამდე“, - განაცხადა მომხსენებელმა, რომელმაც საკითხის წარდგენის შემდეგ დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა.

მომხსენებელმა, დიმიტრი ხუნდაძემ კოლეგების შეკითხვებს უპასუხა, რის შემდეგაც განსახილველად გამოიტანა თანმდევი კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელშიც ტექნიკური ცვლილება ხორციელდება ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, პროექტის თანახმად, 2020 წლის 15 ივლისამდე შესაბამისი სასამართლო სხდომის გამართვის დროებითი წესის მოქმედების ვადა - 2020 წლის 15 ივლისამდე - გრძელდება 2021 წლის 1 იანვრამდე.

სხდომაზე წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრებები.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გიორგი ვოლსკის განცხადებით, გამორიცხულია, რომ პარლამენტის უფლებამოსილება შემცირდეს იმით, თუკი ჩვენ მთავრობას დავავალებთ, რომ გადაარჩინოს საზოგადოება და მოსახლეობა იმისგან, რაც შეიძლება მთელ მსოფლიოს დაემართოს.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ ვადის გადაწევის ერთადერთი მოტივაცია ისაა, რომ კვლავაც ეფექტიანად წარვმართოთ კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლა.

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატების“ წევრმა, ირმა ინაშვილმა ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ წარმოდგენილ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერენ.

„ჩვენ არ ვუჭერთ მხარს ამ ცვლილებას, არა იმიტომ, რომ არ ვზრუნავთ ადამიანების სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე, არამედ ჩვენ მიგვაჩნია, რომ პარლამენტმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და დიახ, ანტიკონსტიტუციური ცვლილებები იყო, როდესაც მისი უფლებების დელეგირება მოახდინა მთავრობაზე“.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახელით ანრი ოხანაშვილმა ოპოზიციას მიმართა: „არჩევნების წინ გაგიაქტიურდათ ინსტინქტი, რომ მომდევნო მოწვევის პარლამენტში

ბევრად შემცირებული იქნებით თუ გადალახეთ ბარიერი და მაქსიმალურად ცდილობთ, ტრიბუნა გამოიყენოთ. კარგია, საზოგადოებამ უნდა დაინახოს რას საუბრობთ, რა ინტერესებს იცავთ, როგორ „ზრუნავთ“ საზოგადოების ინტერესებზე. ალბათ ოცნებობდით, რომ რამე შეცდომა დაგვეშ-

ვა. სამწუხაროდ, ასეთი მავნე პოლიტიკოსებიც არიან, რომ ფიქრობდნენ იქნებ მეტი გარდაიცვალოს, რომ ამით ვინმემ იხეიროს. ასეთ პოლიტიკურ ჯგუფებთან როცა გვაქვს საქმე, ძალიან ძნელია თქვენ გესაუბროთ რაიმე აზრიან საკითხებზე, იმიტომ, რომ თქვენი საზრუნავი და თქვენი ამოცანა არის როგორმე რადიკალიზაციის გზით ხელისუფლებაში მოსვლა. ამის არანაირი რესურსი არ გაქვთ და მაინც ცდილობთ იგივე ქმედებების განმეორებას, რასაც არაერთხელ ჰქონდა თქვენი მხრიდან ადგილი".

კანონპროექტის ირგვლივ გამართული დისკუსიისას მამუკა მდინარაძემ განაცხადა: „ნაციონალურ მოძრაობას" სულ უნდა შევახსენოთ, რომ მათ პირდაპირ ღალატი აქვთ ჩადენილი, როდესაც რუსეთის ჯარის ნაკეთები საქმე სეპარატისტებს დააბრალეს. „ნაციონალური მოძრაობის" მიერ დამახინჯებული კონსტიტუცია რაც შეგვეძლო ვასწორეთ. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ოპოზიციისთვის არის ერთადერთი მაშველი რგოლი, რომ რაღაცნაირად არჩევნები გადაიდოს. საზოგადოებისთვის განვმარტავთ, სექტემბერში ან ოქტომბერში თუ დაგვჭირდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, მაშინ 31 ოქტომბერს ჩვენ არჩევნებს ვეღარ ჩავატარებთ. ეს არის კანონის მარტივი დათქმა. შესაბამისად, თუ ასე მოხდა, მაშინ არჩევნების გადაწევა შეიძლება მოგვიწიოს მომდევნო წელს. ოპოზიციას აქვს იმედი, რომ თუ არჩევნები გადაიწევა, ამასთან, შეიძლება ისე მოხდეს, რომ მთელ მსოფლიოში კიდევ უფრო გამძაფრდეს ეკონომიკური კრიზისი და საქართველოშიც იქნებ უფრო გაუჭირდეს ხალხს და ფიქრობენ, რომ ამის ფონზე არჩევნებზე იქნებ მათ უფრო მეტი შანსი მიეცეთ. სწორედ ამაში ვამხელთ მათ საზოგადოების წინაშე".

უმრავლესობის წევრმა, მიხეილ ყაველაშვილმა ოპოზიციონერ კოლეგებს მიმართა, რომ საშიშროება არ ემუქრება არც კონსტიტუციას და არც დემოკრატიას.

„ეს კანონი არის აბსოლუტურად რაციონალური, ატარებს მაქსიმალურად რბილ ზომებს, იმისთვის, რომ მინიმალური შეზღუდვებით საბოლოოდ დავამარცხოთ პანდემია, შესაბამისად, მე პირადად, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ამ კანონის მხარდაჭერისკენ", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ნინო ენუქიძემ მესამე მოსმენით წარმოადგინა კანონპროექტი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

კანონპროექტით წესრიგდება ელექტროენერგიის ტრანზიტის განხორციელებასთან, საქართველოს გადამცემ ქსელში ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის ელექტროენერგიის დანაკარგების ანაზღაურებასთან, სატრანზიტო ელექტროენერგიის რაოდენობასა და სატარიფო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები.

პარლამენტის წევრმა ირაკლი კობახიძემ პირველი მოსმენით განსახილველად გამოიტანა პარლამენტის წევრების: დიმიტრი ცქიტიშვილის, სოფიო კილაძის, დავით მათიკაშვილის, თამარ ჩუგოშვილის, ირაკლი კობახიძის, რატი იონათამიშვილის, თამარ ხულორდავას საკანონმდებლო ინიციატივა - საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" და მისგან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტი.

წარმოდგენილი პროექტით ახლებურად წესრიგდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან, შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და სამუშაოს შესრულებასთან, შვებულებასთან, შრომის ანაზღაურებასთან, სამუშაო ადგილზე ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გამართვასთან, აგრეთვე სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიასთან დაკავშირებული საკითხები.

სხდომაზე მესამე მოსმენით განხილული კანონპროექტი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ" ითვალისწინებს ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, იმ პირების ადმინისტრაციული სახდელისაგან - ჯარიმისგან და შესაბამისი საურავისგან გათავისუფლებას, რომელთაც კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2018 წლის 10 აპრილამდე და რომელთა მიმართაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა. დოკუმენტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები პარლამენტის წევ-

რმა ზაზა გაბუნიამ წარადგინა განსახილველად.

კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" I მოსმენით განსახილველად პარლამენტის წევრმა მერაბ ქვარაიამ გამოიტანა.

ცვლილებით წესრიგდება ტაქსის პარკირებისთვის განკუთვნილ ადგილზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ნებართვის მქონე ტაქსის გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების პარკირებასთან, სატრანსპორტო საშუალების 3 თვეზე მეტი ვადით გზაზე მიტოვებასთან, ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ გამოტანილი დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის წესთან დაკავშირებული საკითხები.

პარლამენტის წევრმა, ნინო წილოსანმა I მოსმენით წარმოადგინა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრებას საქართველოს ტერიტორიაზე საავტომობილო ბენზინის ანდა დიზელის საწვავის იმპორტისას, წარმოებისას ანდა მიწოდებისას საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ანდა დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების დარღვევისთვის.

საკითხების ამოწურვის შემდეგ პარლამენტში კენჭისყრა გაიმართა და მხარი დაუჭირეს განხილულ კანონპროექტებს.

რეგიონის ძირითადი გამოწვევები

დღეს, როცა საქართველომ COVID-19-ის გავრცელების პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია, მაინც საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ გავლენის შესახებ, რომელსაც სამომავლოდ მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. სავარაუდოა, რომ ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა იგი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნა, უმუშევრობის გარდაუვალი ზრდა, სიღარიბის მაჩვენებლის მატება, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება - ეს ის ხილული ეკონომიკური ეფექტებია, რომელთა გამოცდა საქართველოს მოსახლეობამ საკუთარ თავზე უკვე დაიწყო. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები, საერთაშორისო გამოცდილება, ქვეყნის მიერ გაკეთებული ევროპული არჩევანი და განვითარების საერთო მიზანი უცვლელია. უწყვეტად მიმდინარეობს კოორდინირებული საქმიანობა და ხდება ახალი ინვესტიციების მოძიება, რომლებიც ძირითად საზოგადოებრივ დოვლათსა და მომსახურეობას უზრუნველყოფენ. ახალი გამოწვევების ფონზე, რეგიონული პოლიტიკა კიდევ უფრო ფოკუსირებული გახდა კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, რათა მომავალში, უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს და მისი რეგიონების განვითარების დონის დაახლოება ევროკავშირთან და სხვა, წარმატებული ეკონომიკის მქონე, სუბიექტებთან. COVID-19-ის გავრცელების მეორე ეტაპის მოლოდინში, ადვილი მისახვედრია, რომ აუცილებელია, თითოეული რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და განვითარება, რათა მათაც საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთო ეროვნული წარმატების მიღწევასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში. სწორედ ამგვარი სტრატეგიული მიდგომა მოახდენს გავლენას შიდა უთანაბრობების შემცირებასა და აღმოფხვრაზე. უკვე განვითარებულ რეგიონებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სარგებელი ევროპული ინტეგრაციისა და ბაზრების გახსნის შედეგად. სწორედ ეს გახდება იმ ქმედებების გრძელვადიანი შედეგი, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში საჭირო ინფრასტრუქტურის მიწოდებას, ადამიანური რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას, სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვადასხვა ინსტიტუციების განმტკიცებას. სამცხე-ჯავახეთის მხარეში რწმუნებულ-გუბერნატორს, ბატონ **ბესიკ ამირანაშვილს** სწორედ აღნიშნულ მიმართულებებზე ვესაუბრეთ...

- ბატონო ბესიკ, უპირველეს ყოვლისა, COVID-19-ის შედეგებზე და არსებულ ვითარებაზე უნდა გკითხოთ...

- როგორც მთელი ცივილიზებული საზოგადოება აღნიშნავს, ამ ეტაპისთვის ჩვენი მთავრობა მიმდინარე გამოწვევებს ძალზე ეფექტურად პასუხობს - სრულიად აკონტროლებს სამედიცინო საფრთხეებს და წარმატებით ახორციელებს ჰუმანიტარულ ამოცანებს. მოგეხსენებათ, საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ამ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე. პარალელურად, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეფორმების დაჩქარებას, არსებული პლატფორმების განვითარებას და მათი ხელმისაწვდომობის ზრდას. როგორც ხედავთ, დღეს აქტიურად ხდება საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გაზრება, არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით. ამას ემატება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ძალისხმევა და მაღალდისციპლინირებული მუშაობა, რაც არსებული გამოწვევების ფონზე, ფრიად დადებით შედეგებს იძლევა.

- მინდა გკითხოთ, ამ ფონზე, რა დადებითი სიახლეებია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში...

- მხოლოდ გასულ, 2019 წელს, სამცხე-ჯავახეთში 164 529629 ლარის ღირებულების 708 პროექტი განხორციელდა. მათ შორის აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაცია ჩაუტარდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას, მოწესრიგდა მისასვლელი გზა და ტელესკოპის შენობა. ადიგენის და ბორჯომის მუნიციპალიტეტების უშუქო დასახლებულ პუნქტებში მოხდა მზის პანელების დამონტაჟება, ხოლო ქალაქ ახალციხესა და დაბა ასპინძაში განახლდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადები და სადარ-

ბაზოები. წარმატებით განხორციელდა შიდა გზების 126 პროექტი, მოწესრიგდა, როგორც ბაკურიანის შემოვლითი გზა, ისე სოფელ ტყემლიანისა და ურაველში აგარის მონასტერთან მისასვლელი მონაკვეთი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 68 სკოლას - შეკეთდა სახურავები, სველი წერტილები, კარ-ფანჯარა და გათბობა. დვირის, ტოლოშის და ჩუნჩხის საბავშვო ბაღებში გაუმჯობესდა პირობები. პარალელურად, აღსანიშნავია ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების 4 ცენტრის მშენებლობა. ასევე, მიმდინარეობს, რეგიონში სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობის განახლება და წაღვერის კულტურის სახლის რეაბილიტაცია. დამატებით, მინდა აღვნიშნო, სოფლის დახმარების პროგრამის შედეგად ჩატარებული მრავალფეროვანი სამუშაოები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობის შედეგად განხორციელდა.

- 2020 წელს 700-ზე მეტი პროექტის განხორციელება იგეგმებოდა...

- მართლაც, მიმდინარე წელს 260 მლნ-ზე მეტი ლარის ღირებულების 700-ზე მეტი პროექტია დაგეგმილი, რომლებიც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსდება. რეგიონის მასშტაბით, სხვადასხვა მიმართულებით, აქტიურად განხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დაიგება ასფალტო-ბეტონის გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკოლებს და ბაგა-ბაღებს, კვლავაც აქტიურად იმუშავებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სადაც მოსახლეობა თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელონ საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულებში. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ და დარწმუნებული ვარ, პრობლემათა აბსოლუტური უმრავლესობა მოგვარდება.

- კონკრეტულ მიმართულებებზე რომ გვითხრათ...

- მომავალი სასწავლო წლისათვის დიდი ხანია დავიწყეთ მზადება. წელს, მუნიციპალიტეტებში, 78 სკოლის და 18 ბაღის რეაბილიტაცია, ან ახლის აშენება იგეგმება. შენობები საჭიროებისამებრ გადაიხურება და შემოირაგვება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ფასადებს და ჯგუფებს, მოწესრიგდება სველი-წერტილები, სამზარეულოები, გაყვანილობა და კარ-ფანჯრები, რითიც, ჩვენ მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. ინფრასტრუქტურული პროექტებიდან აღსანიშნავია, ახალციხეში ცხოველთა თავშესაფრის, საცურაო აუზის, სპორტ-კომპლექსის მშენებლობა და ბორჯომის კავალერიის შენობის რესტავრაცია-მუზეუმად ადაპტაცია. საავტომობილო გზების დეპარტამენტი, თავის მხრივ 10 მნიშვნელოვან პროექტს განახორციელებს, ხოლო, რაც შეეხება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, აქ 5 პროექტია დაგეგმილი, რომელთაგან აბასთუმანის წყალარინების სისტემის და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას გამოვყოფდი. მელიორაციის მიმართულებით აღსანიშნავია დილისკა-პტენა-ჩუნჩხის სატუმბი სადგურის, კლდე-წნისის მექანიკური მორწყვის სისტემის წყალშემტბორავი ნაგებობის და სარო-ხიზაბავრის სარწყავი სისტემების მოწყობა. პარალელურად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში, სასმელი წყლის სისტემების, გზების, ხიდების, გარე განათების, სპორტული მოედნების, სკვერების, ნაპირსამაგრების და სხვა ობიექტების რეაბილიტაციას დააფინანსებს.

- 2020 წელს, კოვიდინფექციის მიუხედავად, აქცენტი ტურისტული ინფრასტრუქტურაზეც გაკეთდება...

- გეთანხმებით, ეს საკითხი მთელი ქვეყნის მასშტაბით, კვლავაც აქტუალურია და მოსახლეობის საკეთილდღეოდ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. 2019-2020 წლებში სახელმწიფო, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და სხვადასხვა ფონდებიდან განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 64 პროექტი. მათ შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია აბასთუმნისა და ბაკურიანის კურორტები, რაც აღნიშნული ადგილების პოტენციალის სრულფასოვან ამოქმედებას შეუწყობს ხელს. დაბა აბასთუმნის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის

მიხედვით შედგენილი პროექტი მოიცავს აბასთუმნის ცენტრალური ნაწილის ურბანულ განახლებას, რომლის მთავარი მიზანი კურორტის ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირება და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებაა. რაც გულისხმობს პარკების, საფეხმავლო ბილიკების, ავტოსადგომების, განათების, ურნების, მოსასვენებელი ადგილების და მათთან უსაფრთხო მისასვლელების მოწყობას; მდინარე ოცხეს ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ადგილობრივი გზების, ისტორიული მნიშვნელობის მქონე სახლების რეაბილიტაციას. პროექტი ასევე მოიცავს ტურისტული ნაკადის დარეგულირების მიზნით, განახლებული მარშრუტების შემუშავებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები და მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნები.

- ბაკურიანს რაც შეეხება...

- ბაკურიანის ურბანული განახლების პროექტით, გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის, ცენტრალური სატრანსპორტო ჰაბის და ავტოსადგომების მოწყობის საკითხები. ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად, განხორციელდება შიდა გზების, მთავარი ქუჩების და შენობების ფასადების რეაბილიტაცია, დასრულდება მდინარის გასწვრივ საფეხმავლო და საველოსიპედე მარშრუტების, მიმდებარე ტერიტორიისა და სარეკრეაციო ზონების კეთილმოწყობის პროექტები. ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია გულისხმობს, როგორც პარკის ტერიტორიის კეთილმოწყობას, ასევე პარკში არსებული ობიექტების რეაბილიტაციას, ტერიტორიის შემოღობვას, მსუბუქი სწრაფი კვების ობიექტებისა და კომერციული სივრცეების განთავსებას, პარკის ტერიტორიის დაგეგმარებას, ბავშვთა სათამაშო მოედნების, პარკის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო დაფების მოწყობას. გარდა ამისა, რეგიონის ტურისტული პოტენციალის, მისი ცნობადობის ამაღლების, სტრატეგიის განსაზღვრის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ყურადღება არ მოაკლდება სხვა ტურისტული მნიშვნელობის პროექტებს - ფოკაში, ფარავნის ტბის ჯებირისა და წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერთან ინფრასტრუქტურის მოწყობას, მუსლიმური ძეგლების რეაბილიტაციას, ვარძიაში, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლის რესტავრაციას, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განახლებას, აწყურის ციხის შეკეთებას და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- წლის ბოლომდე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები გვაქვს დაგეგმილი. ძირითადი გამოწვევებია - რეგიონის გაზიფიცირების გაუმჯობესება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გაუმართაობის აღმოფხვრა და ამორტიზებული საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება. ვაპირებთ ავამუშაოთ ახალი ტურისტული მარშრუტები ახალქალაქის ისტორიული ციხის, ადიგენის „ოქროს ციხის“ და ასპინძაში თმოგვის ციხის მიმართულებით. კვლავ მივაქცევთ ყურადღებას სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლების საკითხს. რეგიონში დაგეგმილია სტუდენტური ქალაქის მშენებლობა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების ჩამოყალიბება. სოფლის მეურნეობაში გაფართოვდება შეღავათიანი აგროკრედიტის კომპონენტი და მომსახურების ცენტრების ქსელი. მოწესრიგდება საძოვრების გამოყენების საკანონმდებლო რეგულაცია და შეიქმნება სათესლე-სანერგე მეურნეობები, რაც თავის მხრივ წაახალისებს ხარისხიანი შხამქიმიკატების შემოტანას და სამაცივრე მეურნეობების განვითარებას. ამასთან ერთად, აქტუალური იქნება მაღალმთიანი დასახლებების სოციალური შეღავათების საკითხი და სტატუსების მინიჭების მოთხოვნები. ვფიქრობ, ზემოაღნიშნული გეგმები მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ქვეყნის განვითარება არ შეფერხდება და მიუხედავად წინააღმდეგობებისა, დასახულ მიზნებს აუცილებლად მივაღწევთ.

MTM

Leselidze st. L2. N2
Terjola, Georgia

Agmaschenebeli AVE N81.
Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302;
+995 (0) 431 25 13 25

Mobile: +995 599 58 77 48
Email: ltdmtm@gmail.com

პროექტებს ბოლოამდე მივიყვანთ

როგორც ცნობილია, მსოფლიო პანდემიის პირობებში, ყველა ქვეყანა საკუთარ, კონკრეტულ სტრატეგიას ირჩევს იმ საშუალებიდან გამომდინარე, რომელიც თავად გააჩნია. მთავარია, სწორი ბალანსის პოვნა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობასა და ფინანსურ თუ ეკონომიკურ სიმძლავრეს შორის. შესაბამისად, მთავრობის გონივრული ქმედებების შედეგად, ქვეყანაში არ გაჩერებულა არც ერთი სოფლის მეურნეობის საწარმო, სისტემური ინფრასტრუქტურული პროექტი და ინდუსტრიული კომპანია, რაც ეკონომიკას საშუალებას აძლევდა, უფრო მეტი თავისუფლება მიეღო და გახსნის, შემსუბუქების და ადაპტაციის ეტაპები თანამიმდევრულად გავლო. ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, მსოფლიო პანდემიის მიუხედავად, ევროკავშირი, საქართველოს მთავრობის პარალელურად, სოლიდურ ინვესტიციას დებს, როგორც ჯანდაცვის მიმართულების, ასევე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ერთმნიშვნელოვნად ფასდაუდებელი დახმარებაა. საპასუხოდ, საქართველო ნაყოფიერად თანამშრომლობს ევროსაბჭოსთან დეცენტრალიზაციის განვითარების კუთხით, პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და უკვე წლებია, სანდო პარტნიორად ჩამოყალიბდა. სწორედ ეს პროცესები განიხილება თვითმმართველობის განვითარების გზაზე უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად. ამიტომ, აქტიურად მიმდინარეობს საშუალო ვადიან სტრატეგიაზე მუშაობა და მისი შექმნის მიზანი ეფექტური, ძლიერი და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება გახლავთ. შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თვითმმართველობა კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს, წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ზემოხსენებულ საქმიანობას, ასპინძაში, მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **როსტომ მაგრაძველიძე** წარმართავს და მიმდინარე პროექტებზე, სწორედ მას ვესაუბრეთ...

- ბატონო როსტომ, რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

- საბედნიეროდ, უკანასკნელი წლების განმავლობაში, სიტუაცია უკეთესობისაკენ რეალურად და თვალსაჩინოდ არის შეცვლილი. ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მიმდინარე წელს პრიორიტეტებად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალ-კანალიზაციის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებია განსაზღვრული. მიმდინარე პროექტებიდან აღსანიშნავია შიდა გზების მოწესრიგება სოფელ რუსთავში, ოშორაში, დამალაში, ტოლოშში, იდუმალასა და ოთაში. ხიზაბავრაში, საროსა და ვარგავში მოხდება სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის და სათავე ნაგებობის აღდგენა. სოფელ რუსთავში დამონტაჟდა სარწყავი ტუმბო, რომელიც მთელ სოფელს გაასარწყავიანებს, ხოლო 6 სოფელში: იდუმალში, ოშორაში, საყუდაბელში, ორგორაში, ძველსა და ჭობარეთში, - ბუნებრივი აირის პროექტირება დაიწყო. რაც შეეხება დაბა ასპინძას, აქ განხორციელდება ვარძიის, ახალციხელის ქუჩებისა და ვარძიის ჩიხის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ტროტუარების, სანიაღვრე არხების, წრიული მოძრაობის და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა. აქვე შენდება საზოგადოებრივი ცენტრი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების განვი-

თარების სააგენტო 698 000 ლარით აფინანსებს.

- როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ ბავშვთა აღზრდის დაწესებულებებს...

- ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, მომავალ თაობაზე ზრუნვა ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. შეხვედრები მაქვს საბავშვო ბაღების დირექციასთან, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებსა და სამომავლო გეგმებზე ვმსჯელობთ. ჩვენ ვზრუნავთ, რომ მაქსიმალურად ხარისხიანი კვება, ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყალი შევიტანოთ ბაღებში. პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი აირით გათბობის სისტემის დამონტაჟება, მოწესრიგებული - სველი წერტილები და ზოგადად ინფრასტრუქტურა. ვხედავთ, რომ პრობლემები არსებობს, მაგრამ მათი მოგვარების გზები დასახული გვაქვს და ეტაპობრივად ვახორციელებთ. წელს, ჩვენი ძალისხმევით, განხორციელდება ნაქალაქევის, ნიჯგორის, საროს, ტოლოშის, იდუმალის და ჭობარეთის სკოლების შენობების რეაბილიტაცია და დაიწყო ორგორის საჯარო სკოლის მშენებლობა. მიმაჩნია, რომ მომავალ თაობაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, სასურველი შედეგის მისაღწევად კი მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა როგორ ვითარდება...

- სოფლებში პრიორიტეტული პრობლემების მოკვლევა მოსახლეობასთან კოორდინირებული მუშაობით და მათთან კონსულტაციების რეჟიმში მიმდინარეობს. ადგილზე ჩატარდა კრებები, სადაც, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, აქცენტები კონკრეტულ პროექტებზე გაკეთდა. 2020 წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და გამანაწილებლების რეაბილიტაცია. მოწესრიგდება სარწყავი არხები და ჩატარდება გზის ნაპირსამაგრი სამუშაოები. მოეწყობა გარე გამოყენების სპორტული ტრენაჟორები, საფეხმავლო ხიდები, სპორტული მოედნები და გარე განათება. განახლდება ძველი სკვერები და სველი წერტილები. სოფელი ნიჯგორში, მთის საზაფხულო საძოვარზე ე.წ თოლერთაში აღდგება სასმელი წყლის სისტემა. ამ სამუშაოების საერთო ღირებულება, ჯამში 575 000 ლარს შეადგენს და თანხა მთლიანად იქნება ათვისებული.

- რუსთავსა და ხერთვისს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა...

- როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტში 12 ადმინისტრაციული ერთეულია, აქედან მაღალმთიანი დასახლების სტატუსით 11 ერთეული სარგებლობდა. მსგავსი სტატუსი არ ჰქონდა სოფელ რუსთავს, რომელშიც მხოლოდ ეს ერთი სოფელი შედის და ხერთვისს, რომელიც სოფელ ტოლოშის ადმინისტრაციულ ერთეულშია გაერთიანებული. გადაწყვეტილება 9 ივნისს პარლამენტმა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო. შესაბამისად, აღნიშნულ დასახლებებში მცხოვრებ დაახლოებით 700-ამდე ადამიანს მიეცემა შესაძლებლობა კანონმდებლობით დაწესებული შეღავათებით ისარგებლოს.

- მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი „ვანის ქვაბები“ თუ გაიხსნება წელს მნახველებისთვის?

- როგორც ცნობილია, „ვანის ქვაბები“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს კლდეში ნაკვეთ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი

კომპონენტია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში ნომინირებულ ვარძია-ხერთვისი-ოლოდას კულტურულ ლანდშაფტში. აღნიშნული ობიექტი, ტურისტებისთვის გახშირებული ქვათაცვენის გამო 2018 წელს დაიკეტა და მისი შესწავლა ამავე წლიდან დაიწყო. 2019 წელს განხორციელებულმა განმეორებითმა შემოწმებამ გეოდეზიური პროცესების რეგრესი ისევ დაადასტურა, რაც ქვათაცვენის ახალი უბნების გაჩენით გამოიხატა. ამ ეტაპზე, „ვანის ქვაბები“, ვიზიტორებისთვის დაკეტილია. წელს გრძელდება კვლევის ნაწილი, რომელზეც ილიას უნივერსიტეტის სპეციალისტები მუშაობენ, ეს კომპლექსის ჰიდროგეოლოგიურ შესწავლას მოიცავს და ამ დოკუმენტის მომზადების პარალელურად, წლის მეორე ნახევრიდან ან მომავალი წლიდან უკვე საკონსერვაციო სამუშაოებს დავიწყებთ. ამჟამად, განსასაზღვრია მეთოდოლოგია, სადაც ჩართულები არიან უცხოელი სპეციალისტები.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ...

- მსოფლიო პანდემიის მიუხედავად, მუნიციპალიტეტში კვლავაც აქტუალური იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების რეაბილიტაცია, სასმელი და სარწყავი წყლის ქსელით ადგილობრივ მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მოსახლეობის დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. ამიტომ, იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით ყველა პრობლემა მოგვარდება, გამოსავალი მოიძებნება და პროექტებს ბოლომდე მივიყვანთ.

სამუშაოების ტემპი ძალიან მაღალია

საქართველო გლობალური ეკონომიკის ნაწილია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეკონომიკურად საკმაოდ სუსტი და, შესაბამისად, შეუძლებელი იყო COVID-19-ისგან გამოწვეულ გლობალურ კრიზისს ჩვენზე ზეგავლენა არ მოეხდინა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა ბოლო წლების განმავლობაში, რა თქმა უნდა, იყო ტურიზმი, რეგიონული განვითარება და უცხოური ინვესტიციები - ეს ყველა ის სფერო და მიმართულებაა, რომელიც უაღრესად დიდი რისკის ქვეშ დადგა. საბედნიეროდ, პირველივე დღეებიდან, მოვლენა შეფასდა, როგორც არამოკლევადიანი კრიზისი. შედგა გრძელვადიანი გეგმა და დაიწყო მუშაობა. ვინაიდან ტურიზმი მომენტალურად მოქმედებს სოფლის მეურნეობაზე, დეველოპმენტზე, ვაჭრობაზე და სხვადასხვა სერვისებზე - საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა სწორი კურსის არჩევა და საქმისადმი პრაგმატული დამოკიდებულება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბატონი გიორგი გახარიას მიერ გაჟღერებულმა მესიჯებმა აშკარად აჩვენა, რომ თანაბრად გადანაწილებული პასუხისმგებლობა ამ ეტაპზე სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი საწინდარი გახდა. ინფრასტრუქტურული განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობის წინსვლა, დღეს, ისე როგორც არასდროს, პერიფერიებზეა დამოკიდებული. მოგეხსენებათ, ნინოწმინდა განსაკუთრებული სამრეწველო პოტენციალით არ გამოირჩევა, ამიტომ მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ სოფლის მეურნეობა რჩება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური განვითარების სტრატეგია ძირითადად სოფლის მეურნეობის სექტორზე, როგორც მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მომტან ძირითად სფეროზეა კონცენტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები პრაქტიკულად სრულად არის ათვისებული. სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე საოჯახო მეურნეობები დომინირებენ, თუმცა მიუხედავად შედარებითი სიმრავლისა ისინი არსებით გავლენას ვერ ახდენენ დარგის განვითარებაზე. უახლოეს მომავალში სურათი, სავარაუდოდ შეიცვლება, რაც მთავრობის მიერ წამოწყებული რეგიონალური რეფორმების პროექტებზე და ადგილობრივი ხელისუფლების უნარიან მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამ საკითხების განსახილველად, ჩვენ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერს, ქალბატონ **ანი მოსოიანს** გავესაუბრეთ...

- ქალბატონო ანი, მოგვიყევით რაიონში არსებული სიახლეების შესახებ...

- ამ წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მუნიციპალიტეტში მართლაც ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ და მუშაობა ყველა მიმართულებით ახლაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. დაგროვებული პრობლემების მოგვარება, როგორც ნინოწმინდაში, ისე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ეტაპობრივად ხდება. ძირითადი ყურადღება, რა საკვირველია, მაინც ინფრასტრუქტურული პროგრამების განვითარებას ექცევა. ამ ეტაპზე მიმდინარე სამუშაოების ერთი ნაწილი რეგიონული განვითარების ფონდის მიერ ფინანსდება, ხოლო დანარჩენი პროექტების ღირებულებას ადგილობრივი ბიუჯეტი ანაზღაურებს. ჩვენი გეგმის მიხედვით, მიმდინარე სამუშაოები 2020 წლის ბოლომდე დასრულდება.

- ინფრასტრუქტურა ვითარდება და იცვლება პრიორიტეტები...

- სწორედ ამასთან დაკავშირებით, ახლახან, ნინოწმინდას სამუშაო ვიზიტით, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, ბატონი ილია ბეგიაშვილი და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ეწვია. ვიზიტის მიზანი წლის განმავლობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი იყო. ჩვენმა სტუმრებმა სასწრაფო გადაუდებელი დახმარების შენობა და ქალაქის ქუჩები დაათვალიერეს. როგორც მოგეხსენებათ, რეგიონალური განვითარების ფონდის, მთის ფონდის მიერ ნინოწმინდის

მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა დაახლოებით 6 000 000 ლარს შეადგენს და ძირითადად, გზებისა და ქალაქის ქუჩების ასფალტირებაზე იხარჯება. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო სამუშაოები შეჩერებული იყო,

განხორციელებული სამუშაოების ტემპი ძალიან სწრაფია, რაც მინისტრის მოადგილემაც აღნიშნა.

- უფრო კონკრეტულად ხომ ვერ მოგვახსენებდით...

- ამ ეტაპზე, აქცენტი მუნიციპალური გზების აღდგენასა და მათ მოასფალტებაზე გვაქვს გაკეთებული. მსგავსი ტიპის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს ქალაქ ნინოწმინდის თბილისის, გაის, გოგოლის, ბაგრამიანის ქუჩებზე, სადაც სამუშაოებს შპს „ჯავახეთოგზა“ ახორციელებს. უკვე დასრულდა დავით აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარის 500- მეტრიან მონაკვეთის რეაბილიტაცია. პარალელურად, ასფალტის საფარი იგება სათხა-სპასოკის დამაკავშირებელი გზის 2200 მეტრიან და დილიფი-კონდურა-მაშზარას, სოფ. დიდი ხანჩალი-პატარა ხანჩალი, სოფ. ფოკა-ვლადიმიროვკა, სოფ. განძის შიდა სასოფლო გზებზე. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე პერმანენტულად ხორციელდება სანიაღვრე არხების და სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია. ამის მაგალითებია - გორელოვკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სპასოვკის და სოფელ ეშტიის პირუტყვის სასმელი წყლის ლოკაციის სამშენებლო სამუშაოები.

-სოციალური პროექტების განხორციელება როგორ მიმდინარეობს?

-სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება და სპეციალური პროგრამების განხორციელება ჩვენი მუშაობის ასევე ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, ამ პროექტების განხორციელებისათვის, 2020 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში 367.000 ათასი ლარია გათვალისწინებული. სოციალური დახმარების სუბსიდირება ათობით ქვეპროგრამას და რამდენიმე ინდივიდუალურ პროექტს მოიცავს და სხვადასხვა კატეგორიაზე გახლავთ გათვლილი. მათ შორის მოიაზრებიან მრავალშვილიანი ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ასი წლის და მეტი ასაკის უხუცესები, შშმ პირები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები და სტუდენტები. ვაფინანსებთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბინის ქირის გადასახადს, ყოველ მე-3 და შემდგომ ახალშობილთა ხარჯებს, ხდება მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, სარიტუალო ხარჯების დაფარვა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულთა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა, ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება და სხვადასხვა ერთჯერადი თუ განსაკუთრებული საჭიროების ფინანსური შეღავათები. დამატებით, მინდა აღვნიშნო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასასრულ, 9 სკოლას თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი სველი წერტილები, ხოლო 3 სკოლას - უახლესი გათბობის სისტემა ექნება.

-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა როგორ ვითარდება?

-სოფლებში პრიორიტეტული პრობლემების მოკვლევა მოსახლეობასთან კოორდინირებული მუშაობით და მათთან კონსულტაციების რეჟიმში მიმდინარეობს. ადგილზე ტარდება კრებები, სადაც, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, აქცენტები კონკრეტულ პროექტებზე კეთდება. 2020 წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების და შიდა გზების რეაბილიტაცია განხორციელდება. შეკეთდენთ სპორტულ ინვენტარს, მოვაწყობთ სათამაშო მოედნებს და გარე განათებას, გავარემონტებთ ხიდებს და დავდგამთ პირუტყვის სასმელი წყლის ავზებს. გვმართავთ გზისპირა სანიაღვრე არხებს, მოვაწესრიგებთ საბავშვო სათამაშო მოედნებს და დავასრულებთ სხვა მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. სამომავლოდ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რაც ვფიქრობ, დიდ ზეგავლენას იქონიებს ნინოწმინდის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მაქსიმალურად ვეცდებით დაწყებული სამუშაოები დავასრულოთ და კვლავაც ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მივხედოთ.

სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა გვესაჭიროება

როგორც ცნობილია, დღევანდელი არაპროგნოზირებადი საერთაშორისო გარემო უდიდესი გამოწვევებისა და რისკების წყაროა, განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველო გახლავთ. ამგვარ გარემოში საფრთხეების თავიდან აცილება და თითოეული შესაძლებლობის გამოყენება, ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ცნობილია, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც პანდემიის და ეკონომიკური კრიზისის პირობებში დაასრულა მოლაპარაკებები და შეათანხმა საგალუტო ფონდთან ახალი პროგრამა, რაც სხვა დონორებთან მუშაობის გამარტივებას ნიშნავდა. შესაბამისად, მოკლე ხანში, მთავრობამ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან მიიღო 1 მილიარდ 500 მლნ აშშ დოლარის ოდენობით მხარდაჭერა და ამ თანხის გარკვეული ნაწილის ათვისება უკვე დაიწყო. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა ძველ რიტმს დროულად დაუბრუნდება და ბიძგს მისცემს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდას, რაც სამომავლოდ სწრაფი განვითარების პოტენციალის მანიშნებელია. ასეთ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული რეგიონების განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა ხდება. ამ სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, როგორც კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამების, მათი განხორციელების ვადების, ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა, ისე - რეგიონებში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ინვესტიციების წახალისება და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. ყველა პრიორიტეტულ საკითხს და მწვავე პრობლემას, რომელიც დღეს ახალქალაქის რაიონის ტერიტორიაზე არსებობს, ყურადღებას არ აკლებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იური უნანიანი**, მისი წარმატებული საქმიანობა, არც ჩვენ დაგვრჩენია უყურადღებოდ...

- ბატონო იური, მუნიციპალიტეტში დასრულებულ და მიმდინარე პროექტებზე გკითხავთ...

- მოგეხსენებათ, უკვე წლებია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, ბატონ ბესიკ ამირანაშვილთან ერთად პერმანენტულად ვახდენთ სამცხე-ჯავახეთში საგზაო ინფრასტრუქტურის დასრულებული და მიმდინარე პროექტების დათვალიერებას. ამას წინათ მოვინახულეთ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის 16 კმ-იან მონაკვეთი, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულდა. აღნიშნული მონაკვეთი დაზიანებული იყო და სასწრაფოდ საჭიროებდა რეაბილიტაციას ავტოტრანსპორტის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. ამიტომ, შეკეთდა გზა და ხელოვნური ნაგებობები. მოეწყო ტროტუარები და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები. განხორციელდა საგზაო ნიშნების მოწყობის და გზის ჰორიზონტალური მოწყობის სამუშაოები. გავეცანით ახალქალაქი-ნინოწმინდას დამაკავშირებელი 17 კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. ამ მონაკვეთის დასრულებით მოწესრიგდება სამცხე-ჯავახეთის ძირითადი სატრანსპორტო



მაგისტრალები და ჩატარებული საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამცხე-ჯავახეთის სატრანსპორტო და ტურისტული პოტენციალის ათვისებას. გარდა ამისა, დამატებითი თანხა გამოიყო რამდენიმე ინფრასტრუქტურული სამუშაოსთვის, რომელსაც საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდი ატარებს - ვაჩიანი-ოკამის გზის რეაბილიტაციის მე-4 ეტაპი 1 300 459 ლარის, ხოლო ბარალეთი-იხტილას გზის ასფალტირების მე-2 ეტაპი 819 220 ლარის ოდენობით დაფინანსდება, დამატებით, გაწერილია შიდა საავტომობილო გზის სოფ. ბავრა-კარტიკამის რეაბილიტაცია და ახალქალაქში საგზაო ნიშნების დაყენება. თანხის ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტის ტენდერებში დაზოგილი სახსრებიდან, ხოლო დანარჩენი გარდამავალი ნაშთიდან გამოიყოფა.

- სხვა ინფრასტრუქტურულ მიმართულებებზე რას გვეტყვით...

- მოგახსენებთ, რომ ქალაქ ახალქალაქსა და კიდევ 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მიმდინარეობს არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შეძენილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება-ჩანაცვლება, საჭიროების შესაბამისად - ახალის შეძენა. ამასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დასუფთავების ღონისძიების განხორციელება. პარალელურად, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. დამატებით, ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ ამ სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისთვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში და მთელ რიგ ადმინისტრაციულ ერთეულებში. პროგრამის საბოლოო მიზანს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათებით სრულად მოცვა წარმოადგენს.

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ რაც შეეხება...

- როგორც მოგეხსენებათ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ საქართველოში ორწლიანი პაუზის შემდეგ 2019 წლიდან განახლდა. პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის ჩართულობის ზრდას გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ სოფელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გარკვეული ოდენობის თანხა ეძლევა და ადგილობრივები თავად არკვევენ, რას მოხმარდება ეს ფული. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე, წელს, ერთმა ნაწილმა პრიორიტეტულ საკითხად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და შიდა გზების მოწესრიგება დაასახელა. ნაწილმა - გაზიფიცირებისთვის სამუშაოების დაწყების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი. დანარჩენ სოფლებში კი სტადიონების მოწყობის, სასაფლაოებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის და გარე განათების სისტემის სამუშაოები ჩატარდა.

- სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში კვლავაც აქტუალური



იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გზების რეაბილიტაცია, ბუნებრივი აირისა და სასმელი წყლის ქსელით აღგილობრივ მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მოსახლეობის დაცვა, მათ ჯანმრთელობასა და საარსებო პირობებზე ზრუნვა, ისევე, როგორც უმუშევრობის ზოგადი პრობლემის გადაჭრა ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა და არსებული სიტუაციის გამოსწორება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. ამიტომ, იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით ყველა პრობლემა მოგვარდება, გამოსავალი მოიძებნება და პროექტებს ბოლომდე მივიყვანთ. ზოგადად, სამომავლო საქმიანობის განსახორციელებლად სასიცოცხლოდ გვესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და დახმარება. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების შექმნა და ამოქმედება, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს ჩვენს საერთო მიზნებს და ინტერესებს. რაც დადებითად წაადგება, როგორც ჩვენს მოსახლეობის, ისე ზოგადად, რაიონის და რეგიონის კეთილდღეობას.





ბორჯომში ახალი სიტყვიერი...

დავით ზაალიშვილი **ბუბა ბერიძე**

დღეს, მსოფლიოში, გლობალური კრიზისია და ის ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, ეფექტური და ძლიერი სახელმწიფოები სწორედ მსგავსი გამოწვევების პირობებში ყალიბდებიან - იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორად შეძლებენ, პასუხი გასცენ მსგავს გამოწვევებს. როგორც ცნობილია, ინფრასტრუქტურა ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მსოფლიოში, არ არსებობს ეკონომიკის სწრაფი განვითარების მოდელი, რომელიც თავის თავში არ მოიაზრებს განვითარებულ ინფრასტრუქტურას. რაც თავის მხრივ საგზაო, საკომუნიკაციო, გზით, ელექტროენერგიით, სასმელი და საწარმოო წყლით მომარაგების, საკანალიზაციო და ნარჩენების გადამუშავების სისტემებს მოიცავს. ამის გასავითარებლად, ახლო მომავალში, საქართველომ უნდა მიაღწიოს მიმზიდველი საგადასახადო გარემოს შექმნას, ეფექტიან სახელმწიფო ბიუროკრატიას, უზრუნველყოს კვალიფიციური და განათლებული სამუშაო ძალა და სტაბილური ვალუტა, ქვეყანა გრძელვადიანი და მასშტაბური საინვესტიციო პროექტებისათვის უნდა გახდეს მიმზიდველი, და უზრუნველყოფილ იყოს საბაზისო ინფრასტრუქტურა, ვინაიდან, სწორედ მისი განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს და სახელმწიფოს. კონკურენტუნარიანობას. ამისთვის საჭიროა დაიდოს ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი და შეთანხმებული გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ქვეყნის შემადგენელი კომპონენტის ეტაპობრივი განვითარების გზა თითოეული რეგიონის, ქალაქისა თუ დაბის მიხედვით. უკანასკნელ პერიოდში, სამცხე-ჯავახეთში, კონკრეტულად კი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სამუშაოები რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. ხდება ბუნებრივი რესურსებისა და მატერიალური აქტივების გონივრული მართვა-გამოყენება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ტურისტული ინდუსტრიის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, რამაც უნდა განაპირობოს საქართველოს ამ ლამაზი კუთხის მზარდი ეკონომიკა და მნიშვნელოვნად გაზარდოს რაიონის შესაძლებლობები. ამ საკითხებზე, ჩვენ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ **დავით ზაალიშვილს** და მის მოადგილეს, ბატონ **ბუბა ბერიძეს** ვესაუბრეთ...

- ბატონო დავით, პირველ რიგში, მუნიციპალიტეტში განხორციელებულ უამრავ ინფრასტრუქტურულ პროექტზე მინდა გკითხოთ...

- მოგეხსენებათ, ჩვენს რეგიონში, ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორც ეკონომიკური, ასევე ტერიტორიული და სოციალური ინტეგრირების, უსაფრთხოებისა და გარემოდაცვითი დატვირთვა გააჩნია. შესაბამისად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით დაბებსა და სოფლებში სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად გაგრძელდება. სულ ცოტა ხნის წინ, ჭიხარულასა და ბალანთაში მასშტაბური სამუშაოები დაიწყო. პროექტის ფარგლებში 3კმ-ზე მეტი სიგრძის გზა დაიგება, მანამდე კი შიდა კომუნიკაციების ამორტიზებული ქსელის განახლება მოხდება. ამჟამად მიმდინარეობს სასმელი წყლის ქსელის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია და ახალი მილის მოწყობის სამუშაოები. სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს ასევე, სოფელ ზანავში. სადაც 500მ სიგრძის მონაკვეთზე მთლიანად იცვლება ამორტიზებული მილები. სამუშაოებს ა(ა)იპ „სოფლის წყალი“ ასრულებს და მათი დასრულებისთანავე სოფელში რკინა-ბეტონის გზა და მისი გამყოლი საყრდენი კედლები უნდა მოეწყოს. წელს სოფელ ზანავში გზა კიდევ 2 უბანში დაიგება და მათი სიგრძე 1კმ-მდე იქნება.

ბუბა ბერიძე:

- გარდა ამისა, შიდა ქუჩების მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ტბაზე, სადაც რკინა-ბეტონის გზის საფარი ეწყობა. დამატებით, გაკეთდება სანაღვრეები და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები. მსგავსი სახის პროექტები ხორციელდება, ასევე ტაძრისში, სადგერში და დვირში. ამ სოფლების შიდა უბნებში რკინა-ბეტონის კაპიტალური გზა იგება. ეწყობა სანაღვრეები, ცხაურები და ეზოების შესასვლელი მონაკვეთები. გზის მოწყობის სამუშაოები აღნიშნულ ტერიტორიებზე პირველად ხორციელდება და პროექტის შედეგად, ადგილობრივები კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ. პარალელურად, ტაძრისში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბიბლიოთეკის შენობის პირველ სართულს, შეხვედრებისთვის განკუთვნილ შენობაში კი ცეკვისა და სპორტის გაკვეთილებისთვის შესაბამისი სივრცეები მოეწყო. ეს სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. ამასთან ერთად, ქ. ბორჯომში და მის სოფლებში ხიდების სამღებრო სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები უკვე დასრულებულია ახალდაბასა და ყვიბისში. პროექტი ამჟამად იუსტიციის სახლის მიმდებარედ არსებულ ხიდზე ხორციელდება. ხოლო, უახლოეს მომავალში დაგეგმილია ქალაქის გზის გამყოლი მოაჯირების სამღებრო სამუშაოები.

- ბატონო ბუბა, ბაკურიანში რა სიახლეებია?

- მოგესენებათ, ნებისმიერი კურორტის სწრაფი ეკონომი-

კური ზრდის წინაპირობა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოა, რომლის უზრუნველყოფა წარმოუდგენელია განვითარებული ინფრასტრუქტურის გარეშე. აუცილებელია გვესმოდეს, რომ ამ სფეროს განვითარება პირველ რიგში გულისხმობს საგზაო პროექტების და სხვა ცალკეული კომპონენტის განხორციელებას. შესაბამისად, ჩვენ 2020 წელს დაბა ბაკურიანში საგზაო ინფრასტრუქტურის მასშტაბური სამუშაოები დაიწყო. პროექტის მიხედვით, 2კმ სიგრძის კაპიტალური ასფალტო-ბეტონის საფარი წერეთლისა და ადმაშენებლის ქუჩების მონაკვეთებზე დაიგება. მოეწყობა ასევე ტროტუარები, სანიაღვრეები და ეზოებში შესასვლელები. ქუჩებზე მოწესრიგდა კიუვეტები და მწვანე საფარი. დასასრულს უახლოვდება მშენებარე სასწრაფო სამედიცინო ცენტრი. ამ დროისთვის ობიექტზე მისასვლელი გზისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა ხორციელდება.

– ბატონო დავით, რადგან კურორტებზე ჩამოვარდა საუბარი, თავად ბორჯომზეც გკითხავთ...

- როგორც მოგეხსენებათ, დასრულდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავებაზე მუშაობა. გეგმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სამცხე-ჯავახეთის მხარის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა. გენერალურ გეგმაში დასახულია სექტორის განვითარების გრძელვადიანი ხედვა. იდენტიფიცირებულია სტრატეგიული მარკეტინგული შესაძლებლობები და გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საჭირო პროგრამები, ასევე გამოკვეთილია ის ტიპიური ბიზნესები, რომელთა განვითარებაც ბორჯომშია შესაძლებელი. მიუხედავად მსოფლიო პანდემიისა, ქალაქში ტურისტული სეზონისთვის მზადება მაინც წარმატებულად განხორციელდა. აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა მიხედვით, სკვერები 3 განსხვავებულ ზონად დაიყო, სადაც ცალკე საბავშვო, სპორტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა მოეწყო. შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მიმდებარე ქუჩების იერსახე, ბორჯომს კი ლამაზი რეკრეაციული ზონები შეემატა. პარალელურად, ბაღებსა და სკვერებში ახალი საბაღე სკამების განთავსების პროცესი მიმდინარეობს და აღნიშნულ სივრცეებს ჯამში 50 სკამი შეემატება. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ბოლოს სკვერებში 110 სკამი დაიდგა. გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ე.წ. „კუკუშკის“ ძეგლს ბორჯომში. განხორციელდა ორთქმავალის სამღებრო სამუშაოები, მოპირკეთდა და სრულად აღდგა დაზიანებული პლატფორმა, დამონტაჟდა დეკორატიული განათება.

– ბატონო დავით, სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და რეგიონული განვითარების პროექტების ფონდის მხარდაჭერით, გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განხორციელდება ქალაქში არსებული გზების რეაბილიტაცია, ტროტუარების და ბორდიურების მოწყობა, ქუჩების ორმული შეკეთება. მოწესრიგდება გარე განათება. გარემონტდება საბავშვო ბაღების შენობები. გარდა ამისა, პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს სპორტული თუ კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება იქნება. ჩვენ დავასრულეთ ქ. ბორჯომის N1 საბავშვო ბაღში ეზოს რეაბილიტაცია. ტერიტორია მოპირკეთდა ფილებით, მოეწყო სავარჯიშო და საბავშვო გასართობი სივრცეები. სოფელ ჭობისხევის საბავშვო ბაღში გარემონტდა და აღიჭურვა სამზარეულო და სათავსო ოთახი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საპირფარეშოს. მუნიციპალიტეტი 2020 წლის განმავლობაში, მსგავს პროექტებს სხვა საბავშვო ბაღებშიც განახორციელებს.

ბუბა ბერიძე:

- მინდა დავამატო, რომ რეაბილიტაცია უტარდება ბორჯომის სამუსიკო სკოლის შენობას. სკოლა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, თუმცა შენობაში სარემონტო სამუშაოები ბოლო 40 წელია არ განხორციელებულა. პროექტის შედეგად, კეთილმოწყობა ყველა ოთახი, სრულად შეიცვლება საკონცერტო დარბაზის შიდა ინტერიერი, პირველადი იერსახე დაუბრუნდება ფასადს და განახლდება შიდა საკომუნიკაციო ქსელი. პედაგოგებსა და 360 მოსწავლეს ახალი სასწავლო წლიდან თანამედროვე სტანდარტების გარემო დახვდებათ. ჯანსაღი ცხოვრების წესს რაც შეეხება, ბორჯომის კიდევ ორ სოფელს წელს ახალი სპორტული მოედნები შეემატება. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს სოფლებში ცემსა და ჭობისხევში. ცემში სამუშაოები ახლადგახსნილი სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება, ჭობისხევში კი მოედანი საჯარო სკოლის ეზოში ეწყობა. აღსანიშნავია, რომ წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 13 სპორტული მოედანი უკვე მოეწყო, მათგან სამუშაოები ქალაქ ბორჯომში ორ მისამართზე, სამივე დაბაში და 8 სოფელში ჩატარდა. მსგავსი სამუშაოები, უწყვეტად გაგრძელდება, რადგან დარწმუნებულები ვართ, ერთობლივი ძალებით მუნიციპალიტეტისთვის ბევრი კეთილი საქმის გაკეთებაა შესაძლებელი.



"ბათუმის ავტოტრანსპორტის" თვალსაჩინო წარმატებები

როგორც ცნობილია, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის დროს, რომლებიც საქართველოში უკანასკნელი წლებია ხორციელდება, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ის რეკომენდაციები, რაც უცხოელი ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაიცემა. მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესია, სატრანსპორტო პოლიტიკის მიზნებზე აქცენტირება და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებში საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის პრიორიტეტის მინიჭება. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყოს საავტობუსე ქსელი და ავტობუსების პარკის განახლება. ამ მიმართულებით, უკვე კონკრეტული ნაბიჯებია გადადგმული, როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონების მასშტაბით. ზემოაღნიშნული მიმართულების შედეგი იქნება საცობებისა და ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის შემცირება, რომელიც ქვეყნისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აჭარაში და კონკრეტულად, ბათუმში მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების კუთხით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მთელი რიგი ღონისძიებებია დაგეგმილი. საავტობუსე ქსელის განვითარების გარდა, ხდება სამშენებლო მიმართულებით რეგულაციების დაწესება, შესაბამისი ინკლუზიური, საფეხმავლო და ველოინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება. ამას დაემატა ისიც, რომ მსოფლიოში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, კორონავირუსის პრევენციის მიზნით, გაიცა მთელი რიგი რეკომენდაციები. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო და სხვადასხვა უწყებასთან ერთად, არსებობს კონკრეტული დავალებები, რისი ზედმიწევნით შესრულება მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის უსაფრთხოობას განაპირობებს. ბათუმში, ეს საკითხები „ბათუმის ავტოტრანსპორტს" და მის ხელმძღვანელს, ბატონ **ბადრი ფარტენაძეს** აბარია, რომელიც მიმდინარე პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე თავად გვესაუბრა.

- ბატონო ბადრი, მოგვიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ...

- როგორც მოგეხსენებათ, 2018 წელს, „ბათუმის ავტოტრანსპორტმა" ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) დაბალპროცენტიანი სესხის ფარგლებში, 40 ერთეული ევრო5 დიზელის ავტობუსი შემოიყვანა. უკვე 2 წელი გახდება, რაც ავტობუსები ქალაქში მოძრაობენ და მინდა აღვნიშნო, რომ ამ სიახლემ ეკონომიურობის, მოძრაობის უსაფრთხოების და დაცულობის თვალსაზრისით ნამდვილად გაამართლა. გარდა ამისა, გასულ წელს ჩატარდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელიც შემოდგომის ბოლოს კიდევ 8 ერთეულ ელექტრო ავტობუსს მოგვაწვდის. ჩვენს ტერიტორიაზე უკვე შენდება მათი დასამუხტი სადგური, ხოლო ავტობუსების ჩამოსვლისთანავე მარშრუტებს ქალაქის ხელმძღვანელობასთან და მოსახლეობასთან შევათანხმებთ. შევადგენთ ისეთ მიმართულებებს, რომ არამხოლოდ ქალაქის ცენტრალური უბნები, არამედ გარეუბნებიც მოიცვას.

- როგორც ვიცი, თქვენს სამსახურს ახალი ვალდებულება დაემატა...

- დიახ, უკვე მეორე წელია, რაც ჩვენს დაქვემდებარებაში ქალაქის საგზაო ნიშნების და შუქნიშნების მოვლა-პატრონობა და გზის დახაზვითი სამუშაოები გადმოვიდა. შესაბამისად, ამ მიმართულებითაც საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს ჩვენ სამსახურს. ქალაქის ქუჩებში საგზაო ნიშნების დახაზვა პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს. იხაზება ქვეითად გადასასვლელები, პარკირების ადგილები, ღერძულა ხაზები და მიმართულების მაჩვენებელი ისრები. პარალელურად ხდება შშმ პირთათვის გამოყოფილი პარკირების ადგილების შეღებვა. კეთდება გვერდულა ხაზები და საგზაო მოძრაობის ნიშნები. ამიტომ ყველა ჩვენი თანამშრომელი მაქსიმალური დატვირთვით და პასუხისმგებლობით მუშაობს. შედარებითი ხარვეზები გვაქვს შუქნიშნების მხრივ. ქალაქში ახალი, „ჭკვიანი" შუქნიშნები დგას, თუმცა ნაწილი მოძველებულია და მწყობრიდან გახ-

ლავთ გამოსული. შესაბამისად, მაქსიმალურად ვცდილობთ ყველაფერი დროზე შევაკეთოთ, რათა შუქნიშნების მუშაობა შეუფერხებლად გაგრძელდეს და ავტომობილების ნაკადის დაბრკოლება არ გამოიწვიოს. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ მიკროავტობუსებთან დაკავშირებით მკაცრი რეგულაციებია მისაღები, ქალაქის ტერიტორიაზე ჩემი სუბიექტური აზრია, რომ მოსახლეობას უნდა ემსახურებოდეს მუნიციპალური ტრანსპორტი, რათა მაქსიმალურად განიტვირთოს მოძრაობა.

- მსოფლიო პანდემიის პირობებში, როგორ მუშაობდით...

- პანდემიის დროს ზედმიწევნით ვიცავდით და ვაგრძელებთ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული რეგულაციების დაცვას. ყოველდღიურად მიმდინარეობს ავტობუსების დეზინფექცია, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგები, ყოველდღიურად ხდება მათი თერმოსქრინინგი. პრევენციის მიზნით, მძღოლები დისტანცირებული არიან მგზავრებისგან და ყველა პირბადით მოძრაობს. აღსანიშნავია, რომ ჩვენ პირველებმა დავამონტაჟეთ მუნიციპალურ ტრანსპორტში დისპენსერები, რათა მგზავრებს, ხელის დასამუშავებლად სადეზინფექციო სითხეების გამოყენებით, უფრო ეფექტურად დაეცვათ საკუთარი ჯანმრთელობა. ამ რეჟიმში მუშაობას დღესაც ვაგრძელებთ, რაშიც, რეგულაციების კონტროლის კუთხით, ძალიან გვეხმარება ადგილობრივი მუნიციპალური ინსპექცია. ამ მიმართულებით დამატებით ეფექტს იძლევა საბარათე სისტემა, რომელზეც ჩვენი სამსახური შარშან გადავიდა. ამ პროექტმა გაამართლა, თუმცა ხარვეზები აქაც გამოიკვეთა, - მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს ბანკმა" ბარათების დამზადება თავად უზრუნველყო, მხოლოდ 150 000 ცალი გადმოგცა საჩუქრად და უკვე ეს რაოდენობა ამოწურვის პირასაა. ამიტომ, სამომავლოდ, მოსახლეობას მათი შეძენა მოუწევს და შესაბამისად, ბარათები ფასიანი გახდება. მინდა დავამატო, რომ მგზავრობის ღირებულება კვლავ 30 თეთრია, თუმცა ეს საკითხი გადასახედია და ამაზე მუშაობა მიმდინარეობს.

- ავტოპარკი რა მდგომარეობაშია...

- ამ მიმართულებით ყოველდღიურად ვმუშაობთ. ეტაპობრივად მიმდინარეობს ფინანსების მოძიება, რათა ავტოპარკში პერიოდულად მაინც ხდებოდეს ახალი ავტობუსების შემოყვანა. მოგეხსენებათ, საქართველოში ამჟამად ევრო4 სტანდარტია მიღებული, ჩვენ კი უკვე ევრო5 სტანდარტის ავტობუსები გამოვცადეთ. ამ ყველაფერს განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება, რასაც შესაბამისად, ჩვენი პროფესიონალი ხელოსნები განაპირობებენ. გარდა ამისა, ყოველწლიურად ცხადდება ტენდერი ნაწილების მარაგის შესავსებად და ამ მიმართულებით შეფერხება არ გვქონია.

- ბათუმში პოპულარულია მუნიციპალური ველოსიპედით სეირნობა...

- ვინაიდან ბათუმი ტურისტული ქალაქია, ჩვენ, რა თქმა უნდა, დაინტერესებულები ვართ მუნიციპალური ტრანსპორტის ეფექტურ განვითარებასა და დამსვენებელთათვის კომფორტის შექმნაში. ჩვენს კომპეტენციაში „ბათუმ-ველო" 2011 წლიდან გადმოვიდა, ქვეყანაში არსებული კორონავირუსის პრევენციის მიზნით მცირეოდენი პაუზა გვქონდა ამ მიმართულებით. თუმცა, ამჟამად მიმდინარეობს მათი მოწესრიგება და ახალი მართვის სისტემით აღჭურვა. შესაბამისად, „ბათუმ-ველოს" ველოსიპედები ბათუმში, აგვისტოს შუა რიცხვებიდან გამოჩნდება.

- სამომავლო გეგმებზეც გკითხავთ...

- სამომავლოდ ბევრი სიახლე იგეგმება და ალბათ უახლოეს მომავალში ამას მოგახსენებთ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლად ახლახან, ბატონი არჩილ ჩიქოვანი დაინიშნა. დარწმუნებული ვარ, ბათუმში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა ზედმიწევნით იცის ქალაქის პრობლემები და მიდგომებიც პრაგმატული და წარმატებული ექნება. შესაბამისად, იმედი მაქვს, ურთიერთთანამშრომლობით, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ. აქტიურად მიმდინარეობს ავტობუსის ზოლების გამოყოფა, იხაზება ქუჩები, ვაწესრიგებთ მოსაცდელებს და ვამატებთ ახალს. მონტაჟდება საგზაო და პარკირების ნიშნები. გარდა ამისა, სექტემბრის ბოლოს, ბათუმში რამოდენიმე ქუჩა ცალმხრივ მოძრაობაზე გადავა და „ბასლაინის" შესაბამისად, ორმხრივი მოძრაობა მხოლოდ მუნიციპალური ტრანსპორტისთვის იქნება შესაძლებელი. ყველა მარშრუტზე ინტერვალი 10-15 წუთამდე იქნება დაცული და ადგილიდან იწარმოებს მოძრაობის მუდმივი მონიტორინგი. ძალიან ხშირად თანამშრომლებთან ერთად გავდივართ ყველა მარშრუტის მიმართულებით და ვახორციელებთ მგზავრთა გამოკითვას, თან ვამოწმებთ თუ როგორ ემსახურება მძღოლი მგზავრებს. დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ჩვენი პროფესიონალი თანამშრომლების დამსახურებაა ის გარემოება, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ყველა მუნიციპალიტეტის შემოწმების შედეგად, აჭარაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და წარმატებულ სამსახურად სწორედ „ბათუმის ავტოტრანსპორტი" დაასახელა. ვფიქრობ, ეს ფაქტი ჩვენი სწორი და მიზანმიმართული საქმიანობის კიდევ ერთ დასტურს წარმოადგენს.





ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

- ბატონო ზაქარია, გვიამბეთ ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაოების შესახებ...

- აღსანიშნავია, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, ყოველი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, ზედმიწევნით ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს. კერძოდ, გასულ 2019 წლიდან მოყოლებული, ორიენტირებული გახლდით ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის სოციალური მომსახურეობის გაუმჯობესებაზე. გზების, ხიდების, სასმელი წყლის, წყალარინების, საბავშო ბაღების, გაზიფიცირების და სხვა სამუშაოების მოწყობა-რეაბილიტაციაზე. გარდა ამისა ჩავატარეთ მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

- ამჯერად მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მინდა გკითხოთ...

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო უმნიშვნელოვანესი პროექტი - „ბაღდათი-აბასთუმნის“ გზის რეკონსტრუქცია, რაც არამხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, არამედ სრულიად რეგიონისთვის განსაკუთრებული მოვლენაა. მისი მიზანია დააკავშიროს ტურისტულად მნიშვნელოვანი რეგიონები, მოიზიდოს მეტი ტურისტული ნაკადი და გზამ 7 თვის ნაცვლად მთელი წლის განმავლობაში იფუნქციონიროს. ეს იქნება წინაპირობა იმისა, რომ აბასთუმანი გახდეს მსოფლიოში გამორჩეული ბალნეო-კლიმატური კურორტი და მსგავსად მსოფლიოში წარმატებული პრაქტიკისა, რეგიონის ექსკლუზიურ ეკოლოგიურ კურორტად ჩამოყალიბდეს. გზაზე, ახალი საფარის გარდა, აშენდება გვირაბები და რამოდენიმე ხიდი. პროექტის ღირებულება 200 000 000 ლარს შეადგენს და მისი დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება მომსახურების დონე და უსაფრთხოება, შემცირდება სამგზავრო მანძილი და დრო საქართველოს ცენტრალური ნაწილიდან თურქეთის საზღვრამდე. ახალი გზით მიღებული სარგებელი მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი რეგიონებისთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვის. პარალელურად, დაბა აბასთუმანში განიტვირთება სატრანსპორტო მოძრაობა და ქვეყანას ექნება უნიკალური, ეკოლოგიურად სუფთა და მიმზიდველი კურორტი.

ჩოგორც ქვეყნის მთავრობის ბოლოდროინდელმა პოლიტიკამ აჩვენა, საქართველოს სურვილი აქვს ვაჭრობისა და ლოგისტიკის რეგიონალურ ჰაბად ჩამოყალიბდეს. თავად ეს მოვლენა, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური აქტივობის, მეტი ინვესტიციისა და ვაჭრობისთვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, განსაკუთრებული ფოკუსირება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე უნდა მოახდინოს. სწორედ ამ გარემოებამ უნდა შექმნას ტექნიკური კონტურები სამომავლო განვითარებისთვის და ახალ მიღწევებს ჩაუყაროს საფუძველი. უკანასკნელ პერიოდში, ჩვენმა ქვეყანამ მართლაც საკმაოდ ბევრს მიაღწია მაკროეკონომიკური განვითარების, რეფორმების გატარების და ფინანსური კონსოლიდაციის კუთხით. საქართველოს აქვს დიდი სურვილი და ურყევი ნება, გაატაროს რეფორმები და რაც მთავარია განავითაროს ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ პროექტებით შესაძლებელი იქნება შემცირდეს ტრანსპორტირების ხარჯები, ადგილობრივ მოსახლეობას ხელს შეუწყობს ბევრად მარტივად გაყიდონ პროდუქცია, დაეხმარება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს ერთმანეთთან დაკავშირებაში და რაც მთავარია, გამარტივდება კავშირი მეზობელ ქვეყნებთან. შედეგად, მუნიციპალიტეტები განახორციელებენ პროექტებს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ძირითადი ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური სერვისების დახვეწა, ადამიანური კაპიტალის, საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება. ეს ინიციატივები, ევროკავშირის სხვა მიმდინარე სექტორულ პროგრამებთან და პროექტებთან ერთად, ხელს შეუწყობს კონკრეტულ რეგიონებში ინვესტიციების და დასაქმების ზრდას. ამ ინიციატივების გათვალისწინებით, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ეფექტურად უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას და მთლიანი ადმინისტრაციული ერთეულის მართვას, ხოლო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ზაქარია ენდელაძე,** ცდილობს პირნათლად შეასრულოს ზემოთხსენებული ვალდებულებები და ყველანაირად გვერდში დაუდგეს თავის თანამოქალაქეებს...

- აბასთუმანზე ცალკე გკითხავთ...

- მოგეხსენებათ, კურორტ აბასთუმნის განვითარების პროექტზე საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებები. ამ ეტაპზე, დასრულების პროცესშია დაბა აბასთუმნის ისტორიული უბნისა და ობსერვატორიის რეაბილიტაცია, მოეწყო ახალი საბაგირო. იგეგმება აბასთუმნის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რომლისთვისაც 50 000 000 გაიხარჯება, კეთილმოეწყობა „როშა“ პარკი. ამ ეტაპზე რეაბილიტირებულ იქნა სასმელი წყლის მაგისტრალური წყალსადენი და სათავე ნაგებობა, დღეისათვის აქტიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულებაა 7 699 919 ლარია, ასევე მიმდინარეობს წყალარინების სისტემის მშენებლობა და მისი ღირებულება 3 954 568 ლარი. იწყება საკანალიზაციო სისტემის სრული აღდგენა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომლის ღირებულებაც 7 420 000 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ყველა კომუნიკაცია საგზაო ინფრასტრუქტურის ქვეშ მოიყრის თავს, ასევე მთლიანად შეიცვლება გზის საფარი მოეწყობა ველობილიკები, დაბაში იმოძრავებს ელექტრომობილები, დაბის შესასვლელში ეწყობა საავტომობილო პარკინგი. აბასთუმანში მოეწყობა შემოვლითი გზა და ტურისტული ბილიკები რომლის სიგრძე 115 კმ-ია. რაც შეეხება კერძო სექტორს, დასასრულს უახლოვდება გოგირდის აბანოების სრული რეაბილიტაცია და სამი 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად განავითარებს ტურისტულ სფეროს. აბასთუმანი მთელი თავისი საკურორტო პოტენციალით იქნება მსოფლიო დონის კურორტი, რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის საგიზიტო ბარათი მთელს ამერკავკასიაში.

- რეგიონალური და მუნიციპალური განვითარების ფონდებით სუბსიდირებულ სამუშაოებზე მოგვიყვეთ...

- წელს, რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით წარმატებით მიმდინარეობს დაბა ადიგენის ცენტრალური პარკის, გარე განათებისა და საჯარო ცენტრის მშენებლობა. დასასრულს უახლოვდება სკოლამდე მისასვლელი კიბეებისა და საყრდენი კედლების მოწყობა. რაც შეეხება სოფელ ბენარას შიდა გზის, ხევშენი-ნაქურდევის და ლელოვანი-ღორძე-სამყურის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციას, მათი ღირებულება ჯამში 3 963 628 ლარს შეადგენს და სამუშაოები წელს დასრულდება. გარდა ამისა, მოეწყო მეორე უდეს, ფხეროს, ზანავისა და კახარეთის საჯარო სკოლების სველი წერტილები, ხოლო ვარხანის, იმერთუბანის, ზემო ენთელის და უდეს სკოლებში ეს პროცესი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დამთავრდება. რაც შეეხება მუნიციპალური განვითარების ფონდს, - მათი დაფინანსებით მიმდინარეობს ბენარას, ბოლაჯურის და ღორთუბნის საჯარო სკოლების მშენებლობა, დავამთავრეთ მოხეს საჯარო სკოლის სრული რემონტი. ხოლო ზარზმის მონასტრის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს.

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან რა პროექტები დაფინანსდა?

- მუნიციპალიტეტში პრიორიტეტის ფარგლებში მიმდინარეობს საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა არალში საუბნო გზების რეაბილიტაცია, სოფელ ფლატეში მოეწყო გზის სამაგრი რკინა-ბეტონის კედლები. განხორციელდა ვარხანის მილ-ხიდის, სოფელ აბასთუმნისა და წახანწყაროს გარე განათების ქსელის მოწყობა, შემოიღობა სასაფლაოები. 6 სოფელსა და დაბაში მოხდა გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების დამონტაჟება, ხოლო ბენარაში, არალში და ხევშენში ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნები მოეწყო. უკვე დასრულდა სოფელ უდეს N1 და N2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. ჭულეს მონასტრის მიმდებარედ გავმართეთ ავტოპარკინგი, ხოლო სოფელ ჩორჩანსა და პატარა სმადაში ორი წყალსატუმბი სადგური ამოქმედდა, რომელთა საერთო ღირებულება 100 000 ლარია. დავამატებ, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, დასრულდა სოფელ არალსა და დაბა ადიგენში მდებარე 2 სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, რომელებიც 11 სოფელს ადმინისტრაციულ ცენტრთან აკავშირებს, ხოლო მთის განვითარების ფონდის დაფინანსებით, აქტიურ ფაზაში შევიდა სოფელ წრეს შიდა გზის რეაბილიტაცია.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- როგორც მოგახსენეთ, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს. ამ მიმართულებით, მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა გზების დაგება და სასმელი წყლის მიწოდება, მოხდება აღნიშნული პროექტების განხორციელება. ძალიან გვეხმარება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ფარგლებში, ცენტრალურიდან 638 000, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 95 000 ლარი გამოიყო. ამ თანხების მეშვეობით სოფლებში მოეწყო გარე განათებები, განხორციელდა შიდა გზების, სასმელი და სარწყავი წყლის ქსელების რეაბილიტაცია, წისქვილის მშენებლობა, შეკეთდა სანიაღვრე არხები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღს და შემოიღობა სტადიონი. ვფიქრობ, ზემოაღნიშნული დასრულებული პროექტების და ახალი, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების შედეგად კიდევ უფრო უკეთესი გახდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და წარმატებით გაგრძელდება მთლიანად რეგიონის აღმშენებლობის პროცესი.

შპს ხიდმშენი-99

მისამართი:
საქართველო, ქ.მცხეთა.
დავით აღმაშენებლის ქ. №22

HOTEL
BORJOMI AISI

Hotel
BORJOMI AISI
Georgia, Borjomi
9 Aprili st1
Tel.: 557 66 95 66

ᲧᲚᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲚᲐᲠᲯᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲨᲔ

ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ ᲗᲔᲠᲛᲝᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ